ტფილისი

№ 222
1877

ივერია

№ 222
1903

ოკტომბერი. 17, პარასკევი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოკტომბერი 17, პარასკევი 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვიდამ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მოძღვრიშვილი.**

იბეჭდება ახალი გამოცემა წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოებისა

საქართველოს კალენდარი

მ გუნისა

რედაქცია ფილ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარი შესწორებული და შევსებული მრავალის ახალის ცნობებით. კალენდარში მოთავსებული იქნება სხვა-და-სხვა სამეცნიერო წერილი და სალიტერატურო განყოფილება. — კალენდარი წინანდებურად დასურათებული იქნება.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად

ფასი: წიგნის თავში—1 გვ.—10 მან., $^1/_2$ გვ.—6 მან.
წიგნის ბოლოში 1 გვ.—6 მან., $^1/_2$ გვ.—4 მან.

განცხადება მიიღება: ტფილისში—საზოგადოების კანცელარიაში, და სოსიკო მერკვილაძესთან ბეჟანიშვილთან და მ. ღადიძესთან, ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან და ქ. ქუთაისში, გ. ბეჭედიძესთან.

იბეჭდება იმავე „საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდის ფორმატისა. წინა გვერდზე გარდა საეკლესიო ცნობებისა აღნიშნული იქნება ისტორიული მოვლენანი; უკანა გვერდზე მოყვანილი იქნება გამოჩენილ პირთა აზრები, ლექსთა ნაწყვეტები, ისტორიულ ბიოგრაფიული და სხვა გამოსადეგი ცნობები.
(10—6)

„ც ო დ ნ ა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სასწავლებლებისათვის სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და უძლულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას. დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

ავლაბრის ახალი თეატრი № 6.

შაბათს, 18 ოკდომბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტ. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძისა, მ. მდივანი, ნებიერიძისა. ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი გედევანოვი.

წარმოდგენა № 9. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 19 ოკდომბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

მურად-ფაშა

დრამა 4 მოქ. თხზ. ბ—ლისა.

II

თილისმის ხანი

კომედია 2 მოქ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა. ნ. ჯავახიშვილი ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 17 **ოკდომბერს** 1903 **წ.**

წარმოდგენილი იქნება

ქიდოვკა

ოპერა 4 მოქ., 5 სურათ., მუსიკა ჰალევისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი: მელნიკოვისა, კარტავინა; ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, შმაკოვი, ფედოროვი, გრინიოვი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ბ-ნი ბოგდილიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი: ხვალ, შაბათს, 18 ოკდომბერს, მეოთხე «გალა» წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება მის იმპერატორებით უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით «ფრა-დიაბოლო», ოპერა 3 მოქმ., მუსიკა ობერისა

მომღერალი

ფ. ქორიძე ასწავლის გალობა-სიმღერას და იტალიურ ენას. ქალი მისი **ვალენტინა**—ფორტეპიანოზე დაკვრას და ფრანგულ ენას. ერმოლოვის ქუჩა № 7. ნახვა შეიძლება დილის 10—1 ს. და სად. 4—6 ს. (5—უ—3)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. აფეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

მ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

მ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$—8 ს.

ს. ტ. ატვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტ ფ ი ლ ი ს ი

*** მისი ბრწყინვალება გენერალ-ადიუტანტი თავადი გოლიცინი 15 ოკდომბერს გაბედნიერებულ იქმნა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის უუმოწყალესის დეპეშით ვოლფსგარტენიდგან (დარმშტადტი).

„მადლობას ვსწირავ უფალსა, რომელმაც იხსნა თქვენი სიცოცხლე განსაცდელისაგან. გისურვებთ მალე განკურნებას, რათა შეგეძლოთ წინანდელის მხნეობითა და გულ-მოდგინეობით განაგრძოთ თქვენი დიდად სასარგებლო სამსახური რუსეთისა და ჩემ წინაშე. მოვიკითხავ კნეინას.

ნიკოლოზი“.

*** დღეს, 17 ოკდომბერს, სიონის ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნება სამადლობელი პარაკლისი მოსახსენებლად იმ დღისა, როდესაც მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძე, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და უავგუსტოესი მისი სახლობა განსაცდელს გადარჩნენ მატარებლის დამსხვრევის დროს.

*** გუშინ, 16 ოკდომბერს, დილის 10 საათზედ სამხედრო უწყების წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი კავკასიის მთავარ-მართებლის თ-დ გრიგოლ სერგეის ძე გოლიცინის გადარჩენისა გამო სიკვდილისაგან, როდესაც შეიარაღებული ბოროტ-მომქმედნი დაეცნენ. პარაკლის დაესწრნენ გენერლობა, უფროსი მოხელენი სხვა-და-სხვა დაწესებულებისა, წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა და ქალაქისა და მრავალი ხალხი.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თ-დ გოლიცინის დაჭრის საქმეს იძიებენ ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელნი ილიაშენკო და რიბინსკი სამოსამართლო პალატისა და ოლქის სასამართლოს პროკურორების მონაწილეობით.

*** როდესაც მთავარ-მართებელს ბოროტ-გამზრახველნი დასცემიან, ერთს პირველ გიმნაზიის შეგირდს—ანდრონიკაშვილს შეუნიშნავს, მაშინათვე გაქცეულა ქალაქისკენ და პოლიციისათვის შეუტყობინებია. ამ ყმაწვილს მთავარ-მართებლისაგან მადლობასთან ერთად საათიც მიუღია სახსოვრად.

*** გუშინ, სოლოლაკის გორაზე მიწის მზომელი სტროუცკი გეგმას იღებდა იმ ადგილისას, სადაც მთავარმართებელს ბოროტ-განმზრახველები დაეცნენ და მოკვლას უპირებდნენ.

*** უმაღლესის დებულების ძალით შეიცვალა წესი ეგზამენებისა დედათა ინსტიტუტებში, კურს დამთავრებულთა დაჯილდოვებისა დედათა საშუალო სასწავლებლებში და კონფერენციების შესახებ.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განმარტა, რომ ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტსა და საეპარქიო სასწავლებელში კურს დამთავრებულ ქალებს შეუძლიანთ სააფთიაქო შეგირდებად გამწესდნენ, უკეთუ მოწმობას წარადგენენ ლათინურ ენის ცოდნისას, რასაც კლასიკურ გიმნაზიის პირველ ოთხის კლასის პროგრამმა მოითხოვს. ვისაც მოხსენებულ სასწავლებლებში არ დაუმთავრებია სწავლა და სურს აფთიაქრის შეგირდად შევიდეს, უნდა ეგზამენი დაიჭიროს გიმნაზიის ოთხის კლასის კურსის ცოდნისა, ბერძნულის ენის გარდა. აფთიაქრის შეგირდად შეიძლება შევიდეს აგრეთვე ის ქალიც, რომელსაც შინაო მასწავლებლის უფლება აქვს, უკეთუ ლათინურის ენის ცოდნის მოწმობასაც წარადგენს. იმ დღიდგან, როდესაც შეგირდებად შეირიცხებიან, ორის წლის შემდეგ შეუძლიანთ აფთიაქრის თანაშემწობაზედ დაიჭირონ ეგზამენი.

*** ქალაქის საყასბოების გამგემ ალიხანოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ზარალის ანგარიში ამ წლის განმავლობაში. პირველ ოთხ თვეს საყასბოებს უზარალნიათ 14,775 მან. 19 კ., მაისში—7,947 მ. 70 კ., ივნისში—890 მან. 97 კ. და ივლისში 1700 მ. 54 კ. უმთავრესი მიზეზი ზარალისა ის არისო, რომ საქონელი ძვირად იყო ნაყიდი და ხორცის ნიხრს არ შეეფერებოდაო. მაგალითად, მარტში დასჯდომიათ ფუთი ხორცი 4 მ. 50 კ., მაისში 5 მ., ხოლო ნიხრი იმ დროს იყო 3 მ. 80 კ. ფუთზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

※ კავკავის მოქალაქეთა საზოგადოებას, როგორც «ტიფ. ლისტ». გადმოგვცემს, თელავის საქალაქო სკოლაში დაუარსებია პოეტის რაფიელ ერისთავის სახელობის ერთი სტიპენდია.

※ ტფილისის საბჭოს ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა ქაღალდი მიართვა ქალაქის გამგეობას და სთხოვა განკარგულება მოახდინოს, რომ გაზეთების თანამშრომელთ ნება მიეცეთ დაესწრნენ ხოლმე, როგორც ქალაქის გამგეობისა, ისე საბჭოს სხვა და-სხვა კომისიების კრებებს.

※ ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფმა მ. ს. შესტაკოვმა მოხსენება წარუდგინა გამგეობას სახელოსნო სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, წელს სასწავლებელში თხოვნა შეუტანია 153 კაცს, აქედან 48 ქართველს, 48 რუსს და 49 სომეხს. მიუღიათ მხოლოდ 50 მოსწავლე: რუსი—22, სომეხი—15 და ქართველი—11. ქალაქის პირველ დაწყებით სკოლიდან ძალიან ცოტას მიუცია თხოვნა სახელოსნო სასწავლებელში მისაღებად, რაც მომხსენებლის აზრით, იმით აიხსნება, რომ ქალაქის სკოლები ჯეროვნად ვერ ამზადებენ ახალგაზდობას. შემდეგ მომხსენებელი სწერს, რომ სწავლის საქმე მეტად ცუდად არის წარმოებული, ასე რომ მოუმზადებლობის გამო ერთ კლასიდან მეორეში ნახევარი ძლივს გადადის. ქალაქის გამგეობამ ეს მოხსენება განიხილა 14 ოკდომბერს და დაადგინა, წერილობითი განმარტება მოსთხოვოს სახელოსნო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს.

—

ბათუმის ქალაქის საბჭო. ოკდომბრის ცამეტს მოხდა მესამე მორიგი კრება ბათუმის ქალაქის საბჭოს წევრთა. გასარჩევი იყო ათი საქმე. მათ შორის კიდევ მეტი ყურადღება მიიქცია ქალაქის ქუჩებისა და ეზოების ანტისანიტარულ მდგომარეობის საქმემ. ეს საგანი სწორედ საჭირბოროტო საქმედ გადაიქცა ბათუმელებისათვის იმიტომ, რომ ბათუმის ტოპოგრაფიული და კლიმატიური მდგომარეობა იწვევს ხშირ წვიმებს, რაც თავის თავად სიბინძურესთან ერთად სიცხეებში მეტად ხელს უწყობს ყოველგვარ სნეულების გავრცელებას. ამიტომ წაიკითხეს მოხსენებანი ქალაქის მოურავმა და გამგეობის წევრმა გ. ჟურულმა. ბ-ნი ჟურული თავის მოხსენებაში დაწვრილებით შეეხო ბათუმში ქალაქის „იბოზის“ დაარსების საჭიროებას და მის სარგებლობას. საბჭომ მოიწონა ჟურულის მოხსენება და, თანახმად გამგეობის აზრისა, დაადგინა: რადგანაც ჯერ ქ. ბათუმში არ არის მოქმედებაში „მეეზოების ინსტიტუტი“, რომელსაც ბევრი შეუძლიან ქალაქის სიწმინდის მხრივ, დროებით საქმე ქალაქის „ობოზის“ შესახებ გადაიდოსო.

შემდეგ წაიკითხა თავის ვრცელი მოხსენება ქალაქის მოურავმა თავ. ანდრონიკაშვილმა ბათუმში ყოველგვარ სიბინძურის დასაწვავ შენობის—„დესტრუქტორის“ დაარსების შესახებ. შეეხო რა არსებითად საგანს, ბ-ნმა ანდრონიკაშვილმა ცოცხალის მაგალითებით საზოგადოდ ევროპის ქალაქების და კერძოდ ქ. ოდესის ცხოვრებიდან დაამტკიცა „დესტრუქტორის“ დიდი მნიშვნელობა სისუფთავის საქმეში და თანაც მოახსენა კრებას: რადგანაც საუკეთესო ტიპის „დესტრუქტორია“ არსებობს ქ. ოდესაში, საჭიროდ ვრაცხ კაცი გავგზავნოთ, რომ ადგილობრივ გაიცნოს ოდესის დესტრუქტორი და მისი გარემოება, რისთვისაც საჭირო იქნება 200—300 მ. მოისმინა რა კრებამ ანდრონიკაშვილის მოხსენება, შეუცვლელად და ერთხმად მოიწონა და დაადგინა, იქმნას ღონისძიება მიღებული ბ-ნ ანდრონიკაშვილის მოხსენების განსახორციელებლადაო.

შემდეგ კრებამ მოისმინა თხოვნა ალექსანდრე მერქუშოვისა. ალექსანდრე მერქუშოვი აუყვანია შვილად რამოდენისამე წლის წინად ივანე იუდინს, ბათუმის მემამულეს. ივანე იუდინს გაუზდია ალ. მერქუშოვი ქუთაისის გიმნაზიაში და შემდეგ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე. ამ დროს გარდაცვლილა ივ. იუდინი და სიკვდილის წინ გადაუცია თავის ქონება, რამდენისამე მოწმის დასწრებით, ალ. მერქუშოვისათვის, თუმცა კანონიერ საბუთების შედგენა ვერ მოუსწრია. ბ-ნი მერქუშევი გამოსდგომია კანონით თავის აღმზრდელის საკუთრების გადმოცემისა მებრ დასაკუთრებას. უკანასკნელ დრომდე ეს საქმე სასამართლოს ხელში ყოფილა, ბოლოს-კი სასამართლომ მიანდო ეს საქმე ბათუმის ქალაქის საბჭოს, რომელიც, თუ სცნობდა ბ-ნ მერქუშევს ივ. იუდინის მემკვიდრედ, მისის თხოვნისამებრ მოიქცეოდა. მოისმინა რა კრებამ მერქუშოვის თხოვნა, აღიარა იუდინის მემკვიდრედ. ამნაირად ბ-ნ მერქუშოვს დარჩა მამული, ღირებული დაახლოვებით ათი ათას მანეთად

შემდეგ გამგეობამ მოახსენა კრებას ქალაქის მოიჯარადრის ბ-ნ შაპიროს თხოვნა. ბ-ნ შაპიროს ჰქონდა აღებული საქალებო გიმნაზიის და ქალაქის ფლიგელის შენობების აგება 20 ივნისამდის. თუ თავის ვადაზე ვერ ჩააბარებდა შენობას ბ-ნი შაპირო, ქალაქს, პირობის ძალით, ნება ექმნებოდა, შაპიროსაგან შენობების დამთავრების უფლება ჩამოერთმია. ამიტომ ბ-ნმა შაპირომ შეიტანა თხოვნა საბჭოში და ასახელებდა მიზეზებს შენობის დაუმთავრებლობისას და თანაც დასძენდა: დროზე შენობის ჩაუბარებლობის გამო რაც ხარჯი ექნება ქალაქს, მე ვზღაო, ოღონდ შენობის დამთავრების უფლებას ნუ წამართმევთო. რადგან ბ-ნი შაპირო ზარალის გადახდას დაჰპირდა ქალაქს, კრებამ ერთხმად შეიწყნა მისი თხოვნა.

სულ ბოლოს დასახელებულ იქმნენ ისინი, რომელთაც ბათუმის მარიამის დედათა სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს წევრობაზე თანხმობა განაცხადეს. ხმის უმეტესობით ამოირჩიეს: ქ-ნნი დრიაგინისა, მასლოვისა, ვარშავსკისა და ბ-ნი ვოლსკი.

კრება გათავდა 11 საათზე.

თეოფ. ბესუკიძე

ᲮᲛᲐ ᲡᲐᲘᲜᲒᲘᲚᲝᲓᲒᲐᲜ

ცნობილია, რომ სასწავლებელთა რიცხვი სრულიად არ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას არსად საქართველოში...

ყოველ კუთხიდგან გაისმის გოდება, ვაი და ვუის ძახილი...

მართლაც და დიდი უბედურებაა, შვილები ამზადო, მრავალ გვარი შევიწროება და ტანჯვა-ვაება გამოიარო, უკანასკნელი გროში შვილის მომზადებას მოახმარო და მერე-კი სასწავლებელთა კარება დახშული გხვდებოდეს, ისიც უადგილობის გამო!

ამ გვარ უბედურ მდგომარეობაშია უმეტესი ნაწილი ქართველობისა, განსაკუთრებით წოდებისა—როგორათაც უფრო ღარიბი, შეუძლო ხალხი და სოფლად მცხოვრები...

ამიტომაც არის, რომ ტფილისის საშუალო და სხვა გვარი სასწავლებლები ივსება მომატებულად უცხო ტომის, ახლად ჩვენს დედა ქალაქში დაბინავებულთა შვილებით, მაშინ როდესაც ტფილისის გუბერნია უმეტესად ქართველებითაა დასახლებული...

რომ ქართველთა შორის ძლიერდება წლითი წლობით სწავლის სურვილი, ეს ყველასათვის აშკარაა...

ოღონდ-კი შვილი სასწავლებელში მიაბარო და მრავალი, ჩვენდა სამარცხვინოდ, არ დაგიდევს,—თუ რა ნიადაგზეა დამყარებული სწავლა-განათლება სასწავლებელში.

თუ მრავალს არ ესმის, რა არის ანტიპედაგოგია—ამასთანავე ბევრი კიდე,—გინდ ესმოდეს, თითქოს ურიგდება ანტიპედაგოგიურ, გადაგვარების სწავლა-განათლებასა, რადგან ყველამ თუ არა, უმრავლესობამ მაინც გაიგო, რომ ლუკმის ტანა მხოლოდ იმას შეუძლია, ბურთი და მოედანი იმას რჩება ხელში, ვინც უფრო ნასწავლია, ვისაც უფრო დიდი განათლება აქვს მიღებული, ვისაც ბევრი უნახავს და გასცვნია უფრო შეგნებულ და განათლებულ ერთა ცხოვრებას...

ეს ხომ ასეა, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია დღეს იმ გარემოების აღნიშვნა, თუ რა რიგად ეტანება სწავლა-განათლებას ჩვენი წელში გამწყდარი, საწყალი გლეხობა და რა რიგად უყურებს, თუმცა გაუნათლებელია, ანტიპედაგოგიას ანუ გადაგვარების საფეხურებს, რომელიც შეუბრალებლად უარყოფს ჩვენს დედა-ენას.

ავიღოთ გინდ საინგილო, ეს მრავალწამებული და ტანჯული მხარე ჩვენის უიღბლო და ჩაგრულის სამშობლოსი, რომელიც ზაქათალის ოლქშია და შესდგება ორი ნაწილისაგან 1, ალიაბადისა და 2) კახისა.

ეს ორი ნაწილი მჭიდროდაა დასახლებული ქართველ მართლ-მადიდებელ და მუსულმან ინგილოთაგან.

1887 წლის აღწერილობის თანხმად, მარტო ინგილო მართლმადიდებელნი ითვლებოდნენ 10,000 სულამდე.

ამ რიცხვ-მრავალ ხალხისთვის დაარსებულია მხოლოდ 5 სასწავლებელი,—ისიც ყველა პირველ დაწყებითი...

ერთი სასწავლებელი სამინისტროა, სადაც არ ასწავლიან სამშობლო ენას, ე. ი. ქართულს. ეს სასწავლებელი იმყოფება სოფ. კახში და მასწავლებლებიც (ორი) რუსები არიან, რომელთაც არაფერი არა გაეგებათ რა არც მკვიდრთა ენისა და არც ზნე-ჩვეულებისა... დანარჩენი სასწავლებლები ერთი ალიბეგლოშია, მეორე ყორაღანში, მესამე ქოთოკლოში და მეოთხე სამრევლო საქალებო სასწავლებელი ისევ კახში...

ეს სასწავლებლები დაარსებული ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან. რადგანაც ამ უკანასკნელ ოთხ სასწავლებელში დედა-ენას აქვს დათმობილი ალაგი, ამიტომაც მოსწავლეთა რიცხვიც მრავლათაა, ასე რომ მეტის მიღება არც-კი შეიძლება..,

მშობლები ამ სასწავლებლებს სიამოვნებით და ხალისით უფრო იმიტომ ეტანებიან, რომ მასწავლებლები ადგილობრივ მკვიდრთა შვილები არიან, რომელთაც აქაურ მცხოვრებთა წადილნიც კარგად ესმით და, შეძლების დაგვარადაც, აკმაყოფილებენ...

საგულისხმიეროა ის გარემოება, რომ როდესაც კახის ნორმალურ სასწავლებელში ქართულსაც ასწავლიდნენ და მასწავლებელნიც ქართველნი იყვნენ, მოსწავლე ინგილოთა რიცხვი ას სულზე მეტი იყო. ეხლა-კი ინგილო ბავშვები 48 არის მხოლოდ

აი სად გამოსჭვირს და სად არის ბუნებრივი მიდრეკილება ხალხისა. ამ სასწავლებლებმა, სხვებთან ერთად, უნდა წასწიონ წინ გონებრივი, ზნეობრივი და ქონებრივი მდგომარეობა ინგილოთა. ამ სასწავლებლებმა უნდა აღმოფხვრან მრავალი ცუდი ზნე ჩვეულება, გამეფებულ მკვიდრთა შორის, როგორც მაგ. 1) ქალებით ვაჭრობა, 2) შანების ტარება, 3) კარ-ჩაკეტილობა და მრავალი სხვა.

ამასთანავე ამ სასწავლებლებმა უნდა დაანახვონ ქართველ მუსულმანებს უპირატესობა მართლმადიდებლობისა და საჭიროება ნათესავურის კავშირისა მუსულმან და მართლმადიდებელ ინგილოთა შორის.

ინგილო მუსულმანთათვის დაარსებულია ალიაბადში მხოლოდ ერთი სამინისტრო სასწავლებელი, საიდგანაც მღვდვისაც განდევნილია დედა ენა—ქართული და მასწავლებლად კიდევ სომეხია დანიშნული...

ამაო-კი იქნება, თუ ქართველ მუსულმანებს ხელს შეუწყობენ მშობელ ქართულ ენის დავიწყებაში! სხვა არა იყოს რა, ამით უფრო დააშორებენ ქართველ მართლმადიდებელთ ქართველ მუსულმანებს, რომელთა შორის ნათესავური კავშირი დღესაც არის და რის შემდეგ ყოველი ნიადაგი ქართველ მუსულმანთა მონათვლისაც გაჰქრება... ქართველი მუსულმანები მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულად. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მათ შორის დაარსება ისეთის სასწავლებლისა, სადაც ქართულ ენას ფართო ადგილი ეჭირება. მხოლოდ ეს არის პირდაპირი და საუკეთესო გზა ქართველ მუსულმანთა მობრუნებისა. მართალია პირადად ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ქართველი მუსულმანები—დეე ისევ მუსულმანებათ დარჩნენ, ოღონდ იცოდნენ კარგად, რომ ტომით ქართველები არიან, ჩვენის სისხლისა და ხორცისანი აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ინგილო მუსულმანთ მართლმადიდებლობა გარუსებათ მიაჩნიათ, თითქოს ან ჩვენ, ქართველებს, ან ბერძნებს, სერბებს, ბოლგარებს და სხვებს ვინმე რუსებად სთვლიდეს... მივაქცევთ ყურადღებას წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისას ალიაბადისა და კახის მაზრებზე, სადაც მკვიდრთა სასურველი სასწავლებელთა რიცხვი ძლიერ ცოტაა...

„საზოგადოებას“ ჰმართებს გამოიჩინოს შესაფერი უნარი და გამოჰნახოს ღონისძიება აქ სასწავლებლების დაარსებისათვის.

საჭიროა აღიზარდნენ ინგილო მუსულმანების შვილები სათავად-აზნაურო სასწავლებელში, წინამძღვარიანთ კარისაში და სხვაგან, საცა სწავლა-აზრდა, ცოტად თუ ბევრად, ქართულად არის მოწყობილი. ყოვლად საჭიროა აგრეთვე კახის ნორმალურ სასწავლებელში დაინიშნოს ქართველი მასწავლებელი და ქართულის სწავლებაც იქმნას შემოღებული.

მკვდარ ენების აღორძინებისათვის იმტვრევენ თავსა და ცოცხალ ენის დაკარგვა, ვისთვის რად არის საჭირო?!.

ვისთვის ან რისთვისაა საშიში, რომ ქართველობამ რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებთან თავისი დედა-ენაც იცოდეს?..

აქვე არ შეგვიძლიან, არ დავსძინოთ, რომ დღეს, ცოტად თუ ბევრად, განათლებული ინგილონიც არიან. აი სწორედ ამათი ვალია თავს იდვან თვისთა მოძმეთა წინწაწევა ყოველ მხრივ.

რომ უფრო ნაყოფიერი გამოდგეს ინგილოთა მოქმედება, კინკლაობას, შენ-ჩემობას, პირველობის, ნდომას ენატანიობას, დაბეზღებას ანუ უკეთა ვსთქვათ გაიცემლობის თავი დაანებონ, რადგან ისტორია გვასწავლის, რომ არც ერთ კუთხეს საქართველოისას ამისთანებით კაი არ დაჰყრია და არც, მაშასადამე, საინგილოს შეჰმატებს.

ჩვენს დუშმანს ისე არა უნდა-რა, როგორც ჩვენი ერთმანეთის გადაკიდება, გადამტერება, რათა ყოველი კეთილი ჩვენი განზრახვა ჩაგვიფუჩეონ, ერთობა დაგვირღვიონ და უფრო მარჯვედ გაგვთელონ და გვწიხლონ.

ეპ. კ. ლ. ტურიაშვილი

ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲗ

(შემდეგი *)

ს. ჩაჟაში ზედვეა მობმული ს. ყიბიანზედ. აქ საყდარი თლილის ქვისაა, როგორც ყიბიანისა და სხ. გარედგან საწვეთს ქვეშ გადასული მხატვრობა ეტყობა. შიგნით საყდარი ერთიანად მოხატულია მშვენიერის XII—XIII საუკუნის მხატვრობით, კანკელი ქვისაა. აქ შემდეგი ამოვიკითხეთ,

ოქროთი შეჭედილ მაცხოვრის ხატზედ № 22. „ქ. მაცხოვარო ცხოველს მყოფელო, მეოხ ეყავ კადმს სატარვანიშვილსა წინაშე თქვენსა“.

ოქროთივე შეჭედილის მშვენიერს ღვთის მშობლის ხატზედ: № 23. „ქ. ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, მეგვწყალენ სულიერად და ხორციელად სსოთებით მვედრებელნი შენნი წახნელის ძე ვახტანგ და მეუღლე ჩემი ხვაშაქი“.

ვერცხლით შეჭედილ ჯვარზედ: № 24. „ქ. ნასრეთისა ღვთისმშობელო შეეწყალებასნსა და მეუღლესა მისსა თამარს და ძეთა მისთა ამის“.

პატარა მაცხოვრის ვერცხლით შეჭედილ ხატზედ: № 25. „ქ.... მფარველ... იყავ მადღიდებელთა შენთა მაცხოვარო ღმერთო...

ს. ჩუბიანი ქვემოდგან აკრავს ს. ჩაჟაშს; მაცხოვრის პატარა საყდარი შუა სოფელშია აშენებული მაღლობ კლდოვან ბორცვზედ. დასავლეთით სამხრო დაბალი აქვს მიდგმული, აქ მრავალი ჯიხვის, ფსიტისა და გარეული თხის რქებია ჩამოწკრიებული, მონადირეთაგან შეწირულნი. დასავლეთის კარებს აქეთ-იქით იოაკიმ და ანნა არიან დახატულნი. შიგნით საყდარი საუცხოვოდ მოხატულია.

პატარა კარებიან ვერცხლით შეჭედილ ხატზე აწერია ხუცური ასომთავრულით: № 26: „ქ. ჯუარო პატიოსანო და უთვალთა წმიდათა მადლო, ეშველთა ცოდვათაგან განმწმიდე მაშერგაანი ნესტან და გუდამსა მეუღლ. .“

მღვთის მშობლის ხატზედ: № 27. „ქ. ღედაო ღვთისაო, მეოხ და მფარველ მექმენ წინაშე ძისა შენისა დღესა განკითხვისასა, მიხსენ სატანჯველთაგან მამკობი ხატისა, დავეგეივ შენსა სასოებასა და მადლსა. მეოხ გვეყავ რანდასად (?)“.

ს. მურკმელი მდებარებს გაღმა, ენგურის მარჯვნივ, ცოტა ქვემოთ. აქ ზედიზედ მიყრილს პატარა ქვითკირის სახლებს შორის შეგვიყვანეს პატარა მაცხოვრის საყდარში; მაგდენი ხატები არა იყორა. პატარა ძველ კიდობანში მრავალი ტყავზედ ნაწერი ფურცლები ვნახეთ მიხეულმოხეული: კონდაკისა, დავითნისა, კურთხევანისა, სახარებისა და სხ. ფურცლები ერთმანეთში იყვნენ არეულნი.

იქვე სოფლის განაპირათ, ქვემოთ განმარტოებით სდგას პატარა წმ. ბარბარეს საყდარი; სამხრეთის კარებთან სამხრო აქვს მიდგმული, ძველი ხარა-ხურით სავსე. აქ შეხვდებით უძველესის დროის თიხის და მინის ჭურჭელს—ჩარექებს, სანაკუროებს, შანდლებს, ფიალებს და სხ.

საყდარში კანკელი ქვისაა. მხატვრობა აღარ ეტყობა.

ამბიონის წინ პატარა სვეტზედ დამყარებულია მშვენიერი, ოქრო-ვერცხლით შეჭედილი ჯვარი. ამ ჯვარზედ ამოვიკითხეთ: № 28. „ქ. ღედაო ღვთისაო, დაიველე გიორგი დავითიანი, ამინ». ამის ქვემოდ აწერია: 29 „ქ. წმიდაო ბარბალა შენი მაშენებელი შანიბექი უშქულისა ა ნ“. ამის დაბლა: № 30. „წმიდაო ბარბალე ხელვილიანი ასაში და ა ა დაიცევ“.

ღვთის მშობლის ხატზე: № 31. „ქ. ვედრებისა ღვთისმშობელო, მეოხ და მფარველ მექმენ დღეს განკითხვისასა მამკობსა ხატისა შენისასა წინაშე ძისა შენისა გალდის“.

ოქროთი შეჭედილს წმიდის გიორგის ხატზე: № 32 «ქ. წმიდაო გიორგი მცხეთისაო, შეიწყალე ჰაგი მცხეთელსა შენსა წინაშე შემავალ...»

ვერცხლით შეჭედილს ღვთისმშობლის ხატზე: 33. „ქ. ვედრებისა ღვთის მშობელო». ზურგზე: „ღედაო ღვთისაო, მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა მამკობსა ხატისაშენის.სა დღესა განკითხვისასა უდრნოსა შვილსა სადირსა. .“

ოქროთი შეჭედილს იოანე ნათლისმცემლის ხატზე: № 34. „ქ წმიდაო იოანე ნათლის-მცემელო მეოხ... პატრონს ქობადს და ცოტნეს...“

ოქროთი შეჭედილს პატარა ხატზედ: № 35. „წმიდაჲ შიო ქ. რომელთა გაქუს კადნიერება .. იოანე, ელია და შიო.., მოსავსა შენსა ფარსმანს და...“

ოქროთი შეჭედილს პატარა ხატზე: № 36. „გარდამოხსნა იესოსი, მამიკვენე მესნელო სასუფეველსა შენსა ლომინაძე ქველი და მეუღლე ჩემი რუსუდან და შვილი ვახტანგ და ძმანი მისნი ამინ.“

ვერცხლით შეჭედილს ჯვარს ზურგზე. № 37 „ქ. შეიწყალე ევსტატი ოქრომჭედელი.*)

აქვე ვნახეთ რკინის დადიანი (ჯაჭვი), რომელსაც ავათმყოფნი მხრებზე მოიხვევენ და საყდარს გარს შემოუვლიან ჩოქით; ზედ აწერია: № 38. „ქ. ამისა შემწირველსა ცოდვასა შეუნდვენ ღმერთმან“. ამისთანა დადიანები ბევრგან არის ქართლში—გორისჯვარში, ერთაწმინდაში და სხ. მრავალი ხატი და ჯვარია ამავე საყდარში.

აქ მურკმელის წმ. ბარბარეს საყდრის ეზოში გამოგვეცხადა ოდესმე პაპად ნამყოფი 85 წ. მოხუცი გიორგი ჩარგქსელიანი. მისმა სასიამოვნო ნახვამ მომაგონა ქართლ-კახეთში ჩვენი ძველი ხელჯოხიანი დიაკვნები, თეთრი თმის ნაწნავით უკან, წელში მოხრილნი, წელზედ პრტყელი ტყავის ქამრით, მოყომრალო ჩოხაში თეთრ გულის პირა პერანგით და ლიმიკიტონის ახალუხში გამოწყობილნი ფეხზედ შავი პაჭიჭებით და ჩუსტებით, მაღალი ბუხრის ქუდით. გიორგი პაპის ხელში ეჭირა დასაყრდნობელი, გარდიგარდმო თავ განიერი ყავარჯენი, თავზედ გარდიგარდმო ჭდეებით აჭრელებული. გიორგი პაპი თურმე რამდენჯერაც სწირავდა თავის პაპობაში, იმდენს აჭდევდა ამ ჯოხზედ, აგრეთვე აჭდევდა საყდრის საკურთხეველში კანკელზედ, როგორც მთელ სვანეთში ჩვეულებად ჰქონიათ ძველის ძველადგან. მართლაც, სადაც-კი საკურთხეველში შევედით კანკელის ზურგი ყველგან აჭრელებული იყო ჭდეებით.

ჩვენ დიდის პატივისცემით მივესალმეთ მოხუცს პაპს და ვთხოვეთ ყოველთვის ელოცნა ჩვენთვისაც. დიდათ იამათ იქ დამსწრე სვანებს, ჩვენ რომ ასე პატივისცემით მივეგებეთ მოხუცსა.

უშკულის საზოგადოებაში დიდძალი ხელნაწერები ყოფილა ოდესმე. რამდენიმე ვნახეთ მღ. გ. ნიჟარაძესთან, მათში საყურადღებოა უთავბოლო შუატანის პარაკლიტონი, ასე XIII საუკ. ქაღალდზე ნაწერი, მასში ქართველთა მამათა მიერ შედგენილნი საგალობელნი და სტიბიკონი ცნობებია ჩართული შიგა და შიგ.

აქედანვეა წაღებული ფეხის მონასტერში შესანიშნავი მეტაფრასი. ამაზე შემდეგ ვიტყვით.

აქ მოგვეგება პატივცემული ბლაღოჩინი მღ. ბესარიონ ნიჟარაძე, ამიტომ მამა იოანე მარგიანი გამოგვეთხოვა და ლაშხეთისაკენ გაბრუნდა.

მამა ბესარიონი გაგვიძღვა თავქვე კალის საზოგადოებისაკენ. ენგურის ხეობის მარჯვნივ ციცაბოდ ფერდილს ნაპირზე მიიკლაკნებოდა ჩვენი საცალფეხო ბილიკი. სულ სამი ვერსი არ გაგვევლო ჯერ, რომ აქაიქა ჯაგნარი გამოჩნდა. რავდენიც მივდიოდით, მცენარეულობა თანდათან უფრო მშვენიერი იყო, მაგრამ ხეები მეტად დაბალი და წვრილი დაჯაგული იყო. მოწმენდილი მზიანი დღე იყო. თოვლ-ყინულიანი მთის წვერები ხან აქედან მოგვე

---

*) იხ. Бакрадзе, прилож. № 39, 119 გვ.

ჩვენებოდნენ, ხან იქიდან. დაბლა მარცხნივ თეთრი ენგური ჰქუხდა ვიწრო ხეობაში, თითქოს ვაკე-მინდვრად გასვლას ეშურებოდა. კარგა რიგიანად ცხელოდა, მაგრამ ულეველი გრილი სიო და გზა და გზა მოჩქაფჩქაფე მთის ნაკადულები გვაგრილებდნენ სიცხესა. ჩვენი ბილიკი ხან ღრმად ხეობაში გაუხვევდა და გამოუხვევდა, ხან ადიოდა და ჩადიოდა; ენგურის ხმა ხშირად აღარც-კი გვესმოდა ხოლმე, თუმცა ზევიდან დავყურებდით პირდაპირ და პატარა წანწკარა ნაკადულივით-ღა ჩანდა. გავიარეთ თორმეტიოდე ვერსი და კალის საზოგადოების ს. ისფრალის კოშკებიც გამოჩნდა. დავეშვით დაქანებულ თავდაღმართს. საცოდავი ცხენები ტაატით მიიკაკვებოდნენ.

კალის საზოგადოება ექვსი სოფლიდგან შესდგება: ხალდე, დევბერი, ლანხორი, ხე-ვიჩნაში, მოუკვარი და იფრალი. ეს სოფლები ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარეობენ. ამ საზოგადოების მცხოვრებთა გვარები წმინდა ქართულია: მაგველანი, დოდოანი, აკრიანი, მარგვევანი, გოგზიანი, ხორზიანი, ფანგანი, გულბანი, ღასუანი, დარაყანი, ჩოფლიანი, კოჯკიანი.

ამ საზოგადოებაში, ს. ხე—ვიჩნაშის გაღმა ზედ ენგურის პირზედ ამართულს მაღალს, ტყით მოსილს კლდეზედ აშენებულია კვირიკე-ივლიტეს შესანიშნავი მონასტერი მთელი სვანეთის უმთავრესი სიწმიდე ეს არის. სვანები ლაგვირკას ეძახიან. ამიტომ ს. დევბერში პატარა შევისვენეთ თუ არა, მაშინვე გავეშურეთ ლაგვირკასკენ. გავედით საქანელა ხიდზედ და შევუდექით მშვენიერს ფიჭვ-ნაძვიანს ტყეს. აქ ენგურის მარჯვენა ნაპირი თითქმის ტიტველაა, უტყეო. მაგრამ მარცხენა მხარეზე ამართული მთა-კლდოვანი დაჩრდილულია ძვირფასის ფიჭვ-ნაძვიანის ტყით. იმავე თავით, როცა ლაგვირკა აუშენებიათ, ეს ტყე დაცულია; ხელს ვერავინ ახლებს, ხმელს ნაყარს შეშასაც კი ვერავინ წაიღებს შინ; მართალია, ქარიშხლისა და დიდი თოვლებისაგან დიდძალი ხეებია მოგლეჯილი და ისე ლპება, მაგრამ სვანები მაინც უფრთხილდებიან, ხატისაა. ტყის სიძვირისა გამო თუ რომელსამე სვანს მოგლეჯილი ხე ან სხვა რამ დასჭირდა, სოფლის ყრილობის დაფასებისამებრ, უნდა იყიდოს საყდრის სასარგებლოდ. დღეობაში და სხ. დროს-კი მლოცავნი ხმელს შეშასა სწვამენ. მაღლა-მაღლა მიმავალ ბილიკით თითქმის ოთხი ვერსი ვიარეთ.

ავაღწიეთ აღმართს როგორც იყო და ჩამოვხდით ცხენებიდან პაწაწა ვაკეზედ. აქ მოგვეგება მონასტრის სამი მცველი. *)

ახლა ციცაბო კლდეს შევუდექით. აქ ერთი კაცის გასავლელი კარია გაშვებული მეტი არა. წავედით წინ და კიდევ უფრო ვიწრო კარი ავიარეთ. აქ წელზე ბილახი იყო მოსული. აი აქა სდგას სახელოვანი ლაგვირკა, მტრისაგან მიუვალი.

საყდარს აღმოსავლეთით უძევს სვანური დარბაზი, სიპი ქვისაგან აშენებული და სიპითვე დახურული; დასავლეთით ფრიად მაგარი, მაღალი ციხე უდგას, ციხის თოფებით გაწყობილი.

მღ. პ. კარბელაშვილი

(შემდეგი იქნება)

ჩვენებური ამბები

ბათუმი. ქალაქის საბჭოს დარბაზში 12 ოკდომბერს მოხდა პირველი კრება ქ. ბათუმში დასაარსებლად განზრახულ „საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა გადარდაცვალებით დაზარალების დროს“ (Общество взаимнаго вспоможенія на случай смерти) ამ საქმის ინიციატორ ვ. ფარემუზოვის თავმჯდომარეობით.

თეოფ. ბესუკიძე.

ს. საჭილაო (სენაკის მაზრა). წლევანდელი წელიწადი ვერ იყო კარგი სიმინდის მოსავლის მხრივ საჭილაოელებისთვის. რამდენადაც უიმინდობის ბრალია სიმინდის ნაკლები მოსავალი ამ წელში, არა იმაზედ ნაკლები ბრალი კიდევ თვით მიწის მომუშავე ხალხს—საჭილაოელებს. სივრცით ბევრი სახნავი მიწები დარჩა ამ წელში დაუმუშავებელი. ეს კი უფრო ერთის ხელ-ჯოხიანის ბრალი იყო, რის გამოც მთავრობამ ჩამოართვა ხელ-ჯოხიანობა. ეს არ აკმარეს და უფრო მეტიც უყვეს..

დღესაც ჩვენი საზოგადოება ყურადღებოდ სტოვებს საჭირო საქმეებს, მაგ., გზების შეკეთებას. ძველი ხელ-ჯოხიანი თუმცა აკეთებდა გზებს, მაგრამ იქ, სადაც უფრო კერძოდ ვისთვისმე საჭირო იყო. ამ ნაირად დასტოვა გაუკეთებლად საჭილაოს რკინის გზის ბაქნიდან პირველი მიმავალი შოსე გზა, სიგრძით ერთი ვერსი, საიმერეთოს საზღვარზედ გასვლამდის. დასტოვა, მაგრამ როგორ? ჯერ შარშანდელი წელიწადი ამ ერთის ვერსის მანძილზედ გამვლელთათვის რომ შეგეხედნათ, სწორედ სიბრალული აღგეძროდათ. ცხენი ტალახ-ლაფში ფეხებს დიდის გაჭირვებით იღებდა გადასადგმელად. ტვირთიანი ურმები თუ რამდენჯერმე არ გადაიტვირთებოდა, ლაფში ჩავარდნილი რჩებოდა და ქვეით მგზავრს ლობეებზედ ხტუნვით ხან იქით ხან აქეთ. ილაჯი გაწყვეტილი ჰქონდა. სამწუხაროდ, წრეულსაც გაუკეთებელია ეს ყოვლად გაფუჭებული გზა.

ს. ბეთლეველი.

რუსეთი

ნიჟეგოროდის მაზრაში შიმშილია მოსალოდნელი მოუსავლობის გამო. ერობას უნდა მოახერხოს როგორმე და ითავოს, მკვიდრთა გამოკვებისათვის წყარო აღმოაჩინოს.

— თერგის ოლქში სოფ. ვესიოლიში, მოზდოკს ახლო, საცა მთიულნი არიან დამკვიდრებულნი, ჩამოერთვათ ყველა იქაურ მცხოვრებლებს უფლება იარაღის ტარებისა და სახლში შენახვისა. მიზეზად ამისა ის არის დასახელებული, რომ სოფლელნი ხშირად მიჰმართავენ ხოლმე იარაღს თავიანთ შორის ყოველ უსიამოვნობის გამო და მახლობელ რუსის მოსახლეობასაც აწუხებენო.

— ცნობილმა მოსკოველმა ქველ-მოქმედმა ბაზანოვამ შესწირა სტუდენტების საჭიროებათათვის უნივერსიტეტს 4,500 მან. ეს ფული მოჰხმარდება ნაწილი სწავლის ფასის გადახდას და ნაწილი სტუდენტების სასადილოს მოწყობას.

— მოროზოვისამ შესწირა პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტს 5.000 მან.

— ჩერნიგოვს რეალურ სასწავლებლის შენობა დაუჯდა 152 ათასი მან. აქედან სამინისტრომ შეაწია 43 ათასი, ქალაქმა—$32^{1}/_{2}$ ათასი, საგუბერნიო ერობამ—20 ათასი, თავად-აზნაურობამ—$4^{1}/_{2}$ ათასი. ერთმა ქველ-მოქმედმა, აწ უკვე გარდაცვალებულმა დუნინ-ბარკოვსკიმ შესწირა 50.000 მან.

— ლიბავის საკომერციო სასწავლებლის შეგირდებს დირექტორმა ნება მისცა ჰქონდეთ ყოველ თვიური ჟურნალი. მასწავლებელნიც მიიღებენ მონაწილეობას თანამშრომლობაში. ცენზორად თვით დირექტორი იქნება. ჟურნალს აზრად ექმნება, რომ განავითაროს მოსწავლენი და მიაჩვიოს სალიტერატურო შრომას.

— 13 ოკდომბერს ელოდნენ მოსკოვში შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ზინოვიევს, რომელიც უნდა მისულიყო იქ საერობო საქმეთა რევიზიისათვის.

— 11 ოკდომბერს იყო კრება მოსკოვის უნივერსიტეტის ახალს შენობაში რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებისა სახსოვრად ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფის გარდაცვალებულის პროფესორის ა. კირპიჩნიკოვისა. აირჩიეს დროებით თავმჯდომარედ ბელეტრისტი ა. ჩეხოვი. ამ არჩევანს ყველა დიდის თანაგრძნობით მიეგება თქვენ არა მარტო იმიტომ გირჩევთო, —ითქვა კრებაზედ,—რომ ღირსი ხართ პატივისცემისა თქვენის სალიტერატურო მოღვაწეობისათვის, არამედ იმიტომაც რომ თქვენის წყალობით განვამტკიცოთ კავშირი ჩვენი და სახელოვნებო ლიტერატურისა. საზოგადოებას სურს, რომ მის მეთაურად იყოს სამეცნიერო სიტყვიერების დამსახურებულ წარმომადგენელთა ერთად სახელ-განთქმული და ხელოვანი ოსტატი სიტყვისაო. სეკრეტრად აირჩიეს, შენროკის უარის გამო, კალაში, საზოგადოების ნამდვილ წევრად პროფ. ტიმირიაზევი და შჩეგოლოვი.

— ელექტრო-ტეხნიკის კურსები მოსკოვში დაიწყება 29 ოკდომბრიდან.

— სალიტერატურო მუსაიფნი მოსკოვის სალიტერატურო და სახელოვნებო ამხანაგობაში დაიწყო 14 ოკდომბრიდან. პირველ მუსაიფზედ ლაპარაკი იქნება „იდეალიზმის პრობლემების“ შესახებ.

უცხოეთი

ინგლისი. ოკდომბრის 7-ს ქ. ნიუკესტლში ჩემბერლენმა ვრცელი პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა თავის მოპირდაპირეთა საპასუხოდ. როგორც ეტყობოდა, ყოფილი ახალშენთა მინისტრი ჯერ კიდევ ვერ გამოსალებულა ავადმყოფობის შემდეგ. თუმცა ყავარჯენს დაჰყრდნობოდა, მაგრამ გაფითრებულ სახეზედ მხნეობა და მხიარულობა ეტყობოდა.

ჩემი მოპირდაპირენიო დაიწყო ორატორმა—მიკიჟინებენ, ვითომ ჩემის საბაჟო პროექტების გამო საზოგადოება უფრო საჭირო საქმეებს მოსცდა და მთელი თავისი ყურადღება უფრო მცირე-მნიშვნელოვან საქმეებს მიაპყრო. მაშ რაღა აუჭრელებიათ თავით ბოლომდე ყველა გაზეთებს—კონსერვატიულსა და ლიბერალურს—თავისი ფურცლები მარტოოდენ ჩემის პროექტებით? ოპოზიციის გაზეთობა ირწმუნება,—ჩემბერლენი მხოლოდ დასობრივის აზრით ხელმძღვანელობდა, მაგრამ მისმა მოპირდაპირეებმა უკვე მიწასთან გაასწორეს იგიო. თუ მართლა მიწასთან გამასწორეს, რაღა იწუხებენ თავს ახალნი ორატორნი ჩემს ხელახლად მიწასთან გასასწორებლად (სიცილი)? მაგრამ სჯობია პირდაპირ ჩემს მოპირდაპირეთა საბუთებს შევეხო. იგინი ირწმუნებიან,—ჩვენი კეთილ-დღეობა თავისუფალ აღებ-მიცემობის ნიადაგზედ აღმოცენდაო. მე უარვჰყოფ ამ აზრსა, თუმცა თანახმა ვარ, რომ თავისუფალ აღებ-მიცემობასაც ჰქონდა რამდენადმე გავლენა. კობდენის მიერ მომხდარ დიდის ცვლილების შემდეგ 25 წლის განმავლობაში ინგლისი შუაგული იყო უდიდეს მრეწველობისა. თავის საქარხნო ნაწარმოებს უცხოეთის ნედლ საქონელსა და სანოვაგეზედ სცვლიდა. ამ ჟამად-კი ეს სამრეწველო პირველობა დაჰკარგა ინგლისმა; ყოველ წლობით თანდათან მეტ დაუმუშავებელ საქონელს ვგზავნით საზღვარ-გარედ მაგალითად ქვანახშირსა,—და სამაგიეროდ ვიღებთ უცხო ქარხნების ნაწარმოებსა. ბევრი დარგი ჩვენის მრეწველობისა სრულიად დაეცა საზღვარ-გარედ და ყოვლად შეუძლებელიცაა მისი აღდგენა, მხოლოდ ჩვენს ხელთაა ახალშენებთან აღებ-მიცემობა. მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს მაინც არ დავკარგოთ; ამისათვის-კი ერთად-ერთი ღონისძიება ისაა, რასაც თვით ახალშენები გვირჩევენ,—დავაწესოთ შეღავათიანი ტარიფი ახალშენთა საქონელზედ. ამ გვარ მოთხოვნილებას ვერ ვუწოდებთ ეგოისტურსა, რადგან ახალშენები მეტსა გვთავაზობენ, ვიდრე ჩვენგან მიღების იმედი აქვთ. ნუ თუ ჩვენი სახელმწიფო ვერ გამეტებს მცირეოდენ მსხვერპლსა, როდესაც ამას მოითხოვს იმპერიის მთლიანობის ინტერესი? მაგრამ ეს მსხვერპლიც ხომ მოსაჩვენებელი იქნება და არა ნამდვილი. ჩემი წინადადება არსებითად იმას-კი არა ჰნიშნავს, რომ ახალი გადასახადები დავაწესოთ, არამედ იმას, რომ ერთის ჯიბიდგან ამოვიღოთ და მეორეში ჩავიწყოთ: რასაც მეტს გაიღებს მხმარებელი პურსა და ხორცში, იმავე მოიგებს ჩაისა და შაქარზე. მე მსურს გადასახადთა გაუქმება იქ, სადაც იგი არავის არასა რგებს, და შემოღება იქ, საცა ეს სასარგებლო იქნება ჩვენის ზღვა-გაღმელ მოძმეთათვის. მერე რა პასუხს იძლევიან ჩვენი მოპირდაპირენი ამის თაობაზედ? მოჰყავთ სტატისტიკური ციფრები. რომელნიც ვითომ და ცხად ჰყოფენ, რომ ჩვენ ისედაც მეტად კარგ მდგომარეობაში ვართო. ამასა ბრძანებენ ის კაცნი, რომელნიც ამას წინად ირწმუნებოდნენ,—ჩვენ იმდენად მდიდრები არა ვართ, რომ ბურებთან ომი შევსძლოთო, 12 მილიონი ჩვენ მოქალაქეთაგან კარგად ვერ საზრდოობსო! მიბრძანონ ერთი მაინცა, სადღაა ეს სასურველი კეთილ-დღეობა? მაგრამ ამაზედ-კი არა გვაქვს დავა, არამედ იმის თაობაზედ,—განა მართლა არსებული საბაჟო სისტემაა მიზეზი ინგლისის წარმატებისა და ბედნიერებისა? მოპირდაპირენი გვარწმუნებენ,—მარტო ესაო. მაშ რაღა მიზეზი იყო გერმანიისა და საფრანგეთის მრეწველობის აღყვავებისა? ავიღოთ თუნდა შვეცია; მხოლოდ მას შემდეგ დაეტყო ეკონომიური ზრდა, რაც მფარველობით პოლიტიკის გზას დაადგა. ამ სახელმწიფოთა შესახებ ხომ ვერავინღა იტყვის,—სრულიად განსაკუთრებულ ვითარებაში არიანო, როგორც შეერთებულ შტატების შესახებ სთქვეს, როცა ჩვენ მაგალითად დავასახელეთ ეს სახელმწიფო? მოწინააღმდეგენი კაიძახოდნენ, ვითომ მე განზრახ ვადარებდი 1872 და 1802 წლებსა, იმიტომ რომ 1872 განსაკუთრებული წელიწადი იყოო. მაგრამ 1872 წ. მაგივრად 1875 წ. რომ ავიღოთ და შევადაროთ 1880, 1885 და სხვა წლებს ყოველ ხუთის წლის გამოშვებით, იმავ დასკვნას გამოვიყვანთ, სახელდობრ იმას, რომ გასავალი ჩვენის ნაწარმოებისა თანდათან მცირდებოდა. ბრალსა მდებენ აგრეთვე,—ცილსა სწამებს ახალშენებსაო, და ირწმუნებიან,—ახალშენები სრულიად ჩამოშორდებიან იმპერიას, თუ მათი საჭირო მოთხოვნილებანი არ დავაკმაყოფილეთო. მაგრამ განა თვით ლორდ როზბერი, რომელიც ახლა ჩემს წინააღმდეგ აღიჭურვა, ამასვე არ ამბობდა 1888 წ.?

დასასრულ ორატორმა განაცხადა,—მოპირდაპირეთ ჩემის პროექტის სამაგიეროდ თავისი არა წარმოუდგენიათ რა, რადგან სხვა გეგმა არც კი არსებობსო.

საფრანგეთი. გაზ. „პრ. ასსოც.“-ი ირწმუნება,—საპარლამენტო ჯგუფთა შორის უკმაყოფილონი არიან კომბის მოქმედებით მაროკკოს საკითხის გამოო.

კომბისა და დელკასეს რჩევით მთავრობამ გადასწყვიტა მშვიდობიან პოლიტიკის გზას დასდგომოდა მაროკკოს საქმეებშიო. მაგრამ სამხრეთის მხედრობის მთავარ სარდალი გენერალ ო'კონნორი ისე ჰმოქმედობს, რომ უეჭველად შეიარაღებული შეტაკება მოხდება და შეიძლება ომშიაც ჩაგვითრიონო. საკვირველია, რომ გენერალ ო'კონნორს, როგორც ყველამ უწყის, მხარს უჭერს თვით მინისტრ-პრეზიდენტი კომბი. ვერ მიმხვდარვართ, რას ჰნიშნავს ასეთი ჰო-არაობა კომბის მოქმედებაშიო?..

ნარკვევი

„ს. პეტ. ვედ.“-ში პატარა შენიშვნაა დაბეჭდილი სათაურით „დედა-ენა“. უფრო საინტერესოა ამ წერილის თავი და ბოლო:

როგორ გგონიათ, რომელი ენა უნდა პირველობდეს იმ სასწავლებლად დანიშნულ ენათა შორის, რომელნიც ამა თუ იმ ქვეყანაში ისწავლება? ეჭვს გარეშეა, იტყვით, რომ უნდა პირველობდეს ახლაც და ყოველთვისაც დედა ენა.

ეს უთუოდ ბუნებრივი რამ მოვლენაა, მარტივი საქმეა, აქსიომაა დღეს.

წინად ასე არ იყო. აი თუნდ ათის წლის წინად, როგორც სჩანს ვიღაც სანჩურსკის წიგნის წინასიტყვაობიდან.

ბოლოს ავტორი ასე ათავებს თავისს შენიშვნას:

...მაგრამ ეს ცოტაა, რომ დედა-ენა პირველობდეს სკოლაში და უპირატესი ადგილი ეჭიროს. საჭიროა რომ იგი იყოს საფუძველი სასკოლო სწავლებისა... ტყუილად არა სთქვა გერმანიის სახელოვანმა პედაგოგმა და ფილოლოგმა: არც ერთს საგანს სკოლაში დედა-ენაზედ მეტი და უდრესი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდესო.

—

ჩვენს ნაცნობს ამფითეატროვს დაუბეჭდია წიგნი „ქვეყანა შფოთისა“. იქ სხვათა შორის სალონიკელ ებრაელთა აღწერაც არის. იქაური ებრაელობა სულ არა ჰგავს რუსეთის დასავლეთისა და სამხრეთის ებრაელებს.

სალონიკელი ებრაელიო,—ამბობს ბ-ნი ამფითეატროვი,—ნამდვილი მაჩვენებელია იმისი, თუ რა ფიზიკურსა და ზნეობრივს მშვენიერებამდე შეუძლიან მიაღწიოს იუდიანთა მოდგმამ, თუ თავისუფალია მონობის ბორკილთაგან, მუქთა-მჭამლობის ვითარებისაგან და სცხოვრებს თავისთვის, მუშაობს და გამრჯელობს თავისით, თავისავე სასარგებლოდ. სალონიკის ქუჩებში დავეხეტებოდი და იქ დავიჯერე პირველად, რომ ებრაელთა ძველის ისტორიის სასწაულნი ზღაპარი არ არის, რომ ძლიერი სამსონ, დიდებული სამუელ, მგოსანი დავით ნამდვილ ჰგიებდნენ ქვეყნად და არა მითურნი ქმნილებანი არიან ბედისაგან ჩაგრულ, დამოუკიდებელ ცხოვრებას მოკლებულ ერისა; იმ ერისა, რომლის თავ-მოყვარეობისათვის სასიამოვნოა, რომ დიდებული წარსული შეიქმნას, რადგან მეტად უბედურია და უიმედოა მისი აწმყო. ჩემს გარშემო ხმაურობდა, მედიდურად მოძრაობდა, კეთილ-ხმოვანებით მეტყველებდა გრაციით, კეთილშობილ მანერებით აღსავსე, ჭეშმარიტად რჩეული ერი ისრაელისა. ოჰ, რა სათვალნი, წმინდა ბიბლიურნი სახენი ჰქონდათ! რა კალმით ნახატი, ტურფა ნაკვთნი მედგა თვალ წინ! რა არწივის თვალნი ჰქონდათ! ახლა ზავთი და ჰაეროვანება იმათი?! ისე მედიდურად დადიან, გეგონებათ ღვთის-შვილნი არიანო: ტან-სარონი, ალვასავით რგულნი, თითქო საცა წელში გადასწყდებიანო, სავსენი თავმომწონეობით! ღმერთო ჩემო! ნუ თუ ესენი თანამეგვარენი და თანამემამულენი არიან იმ ღარიბ-ღატაკთა, იმ ჯაფითა და შიმშილით ჩაგრულთა, რომელთაც ჩვენ ვხედავთ რუსეთში? თანამემამულენი იმათი, რომელნიც მუდამ წელში ოთხად არიან მოხრილნი და მუდამ ხელ-გაწვდილნი წინაშე ძლიერთა ამა სოფლისათა?! თანამემამულენი იმათი, რომელთაც შიმშილისაგან ათასი სისაძაგლე უკისრნიათ, მუდამ სვილისის მხილება თანა სდევთ, მუდამ ორთინ კატოს და ძაღლის წინაშეც-კი?! იმათი, რომელთაც სადა გინდა გაჰგზავნი და რა საზიზღარ საქმესაც გინდა მიანდობ?!

წერილები

რედაქციის მიმართ

I

ჩემის და მრავალთა, ქართულ თეატრის მოყვარულთა, აზრით, ძრიელ ცუდად არის განაწილებული ქართულ თეატრში ადგილების ფასები. არ შევეხები პირველ სამ რიგს რადგანაც იმათი უმეტესობა სარგებლობს, სანახევროდ ცარიელია და არის დანიშნული სხვა-და სხვა რედაქციებისა და მოხელეთათვის.

დავიწყოთ მე-4-ე რიგიდგან: მე 4—5—6—7—8—9—10 რიგები ღირს 1 მან. 50 კ., მე-11—12—13—1 მან., მე-14 და მე-15—70 კ. ყველა წარმოდგენაზე იყიდება პირველად 70 კ.—1 მ. ბილეთები და შემდეგ 1 მ. 50 კ. ბილეთები. ორთა-შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, ათ წარმოდგენაში ორი თუ სამი წარმოდგენა იძლევა სრულ შემოსავალს დანარჩენში, როგორც მოგახსენეთ, იყიდება ყველა ბილეთები 70 კ. და 1 მანეთიანი და ერთი ან ორი რიგი 1 მ. 50 კ. ბილეთებისა. დანარჩენი მე-6—7—8—9 და 10 რიგების ბილეთები რჩება გაუყიდავი.. დიახ, რჩება გაუყიდავი, მაგრამ ეს რიგები მუდამ დაჭერილია. ვინ იჭერენ ამ გაუყიდავ ადგილს? იჭერენ თეატრში მუქთად მოსიარულენი და დაკლებულ ფასებით მოსწავლე ახალგაზრდობა. აქედან გამოდის, რომ თეატრში საუკეთესო ადგილს (მე მიმაჩნია საუკეთესოდ მე-6—7—8—9—და 10 რიგები) იჭერენ ისინი, ვინც ან სრულებით არას იხდიან და ან სხვაზე ნაკლებს ჰხდილობენ. ისინი-კი, ვინც არც ერთ წარმოდგენას თითქმის არ აკლდებიან, შრომით და დაგვით ნაშოვარ ფულით ძლივს 70 კ.—1 მანეთიან ბილეთებს ჰყიდულობენ—სხედან ყველაზე უკან... განა ეს სამართალია? მაგრამ ამას თავი დავანებოთ. როცა წარმოდგენა დაიწყება, სწორედ მაშინ მოსწყდება მუშტარი ამ თავისუფალ გაუყიდავ ადგილებს, შეიქნება ერთი ხმაურობა, გაწია-მაწია და ვაი უკანა რიგებზე მსხდომთა ბრალი—სცენაზე მოქმედებისა აღარა ესმით-რა.

არა, ბატონებო! ეს უნდა გასწორდეს. 1 მ. 50 კ, სამი რიგი დარჩეს: მე-4—5 და 6; დანარჩენი: მე 7—8—9 და 10 უსათუოდ მანეთი იყოს. ამით თეატრიც მოიგებს. ეს რიგები უსათუოდ გაიყიდება და ოთხი რიგის მანეთიანის გაყიდვა სჯობს ერთი რიგი 1 მ. 50 კ. გაყიდვას. თუ დარჩება გაუყიდავი ბოლო რიგები, იმას დაიჭერენ თეატრში უფულოდ მოსიარულენი. არეულობაც ნაკლები იქნება. სადღესასწაულო და საბენეფისო წარმოდგენებში, როცა მოსალოდნელია სრული შემოსავალი ფასები შეიძლება ძველივე დარჩეს. ხოლო შვიდი რიგი 1 მ. 50 კ.-ათ როგორდაც მაინც უხერხულია.

ქართულის თეატრის მოყვარული

II

ნათქვამია: „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას მე გაჩვენებო“. სწორედ გაჭირვება მაიძულებს შეგაწუხოთ. აი საქმე რაშია: დულაძის, დღეს უკვე ქალაქის, მინდვრის სამხრეთ დასავლეთით არის ქუჩა, რომელსაც, ჯერ არ ვიცი, რა მიზეზით, არც სახელი აქვს და არც გვარი. ნეტავი იცოდეთ, რა მდგომარეობაში ვართ ამ ქუჩის მცხოვრებნი. აქ გამვლელს ქალაქის ნაწილი-კი არ ეგონება აქაურობა, არამედ სოფლის შუკები (ვიწრო ქუჩა) ყველა ამას თქვენი ჭირი წაუღია, ნეტავი ყოველ წვიმის დროს წყალი არ გვახრჩობდეს! ამ ქუჩას ეტანება ყველა, რიონის მარჯვენის მხრივ მდებარე, ქუჩის თხრილის წყლები და აქ, უკვე მდინარედ გარდაქცეულისაგან, თავის დაცვა შეუძლებელი შეიქმნა, მიუხედავად იმისა, რომ საწყალ ღარიბ

---

*) აღდგომის კვირაში მთელი კალის საზოგადოება იყრის ერთად თავსა და წილის ყრით ირჩევს სამს კაცსა, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში უნდა შეინახონ მონასტერი. ვისაც წილი ერგება სიხარულისაგან ფეხზე აღარა დგას, თავი მოაქვს—„ლაგვირკას მცველი მე ვარო“.

მცხოვრებლებს ამოუთხრიათ ღრმა თხრილები ამ დაუპატიჟებელ, არა სასიამოვნო სტუმრისათვის, და ეზოებიც აუმაღლებიათ. სხვათა შორის, ამ წლის მსხვერპლი ხდება მრავალი შინაური ფრინველი; შარშან ზამთარში თვით პოლიციაც-კი მოიყვანეს გამწარებულმა მცხოვრებლებმა, ისიც მოწმე იყო ამისთანა სცენებისა, მაგრამ მაინც იმ მდგომარეობაში ვართ. ყველა მცხოვრებლებმა მივმართეთ ჩვენს „მამებს“, რომ იქნება შევბრალებოდით და მამინაცვლობა მაინც გაეწიათ, მაგრამ... რაცხა მიზეზის გამო, უარი გვითხრეს, ვგონებ, უფულობის მიზეზით! ხშირად ისე შეიკვრება გზები, რომ პატარა მოწაფეების კლასში მისვლა, ეზოდან დიდის გაჭირვებით გადაშვებულისა, შეუძლებელი ხდება და უმაწვილი იძულებულია დაწუმპულ-დათითხნილი დაბრუნდეს სულ ახლო მანძილიდან.

უმორჩილესად ვთხოვ, ვისიც ჯერ არს, მიაქციოს ჩვენ ამისთანა მდგომარეობას ყურადღება და წყალს მაინც გვიხსნას განსაცდელისაგან. ნუ დაივიწყებენ, რომ გაჭირვებულ ღარიბს უნდა დახმარება, თორემ მდიდრები ისედაც ხომ მდიდრები არიან და ამისთანა გაჭირვებას სულ იოლად აიცდენენ თავიდგან.

ერთი ამ მცხოვრებთაგანი.

„ივერიის“ ფოსტა

ფოთი. გ. სკვიდმისპირელს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

ილ. ნ—ძეს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

სამტრედია. ქ. ჩ—ძეს. თქვენი მოწერილი ამბავი არ დაიბეჭდება.

ოზურგეთი. Iean Kiladze-ს თქვენი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

16 ოკდომბერი

სიღნაღი. 15 ოკდომბერს, შუადღისას მწერალს დიმიტრი მაჩხანელს (ნადირაძეს) დამბლა დაეცა. ხოლო დღეს, 16 ოკდომბერს გარდაიცვალა. დასაფლავება განსვენებულისა დანიშნულია 19 ოკდომბრისათვის.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ოკდომბერი.

პეტერბურგი. კენიგმა ფუთს შაქარზე დააკლო 15 კაპეიკი.

პარიჟი. გრაფი ლამზდორფი დარჩება შაბათამდე. გრაფი ინახულებს ლუბეს, რომელსაც გადასცემს წერილს ხელმწიფე იმპერატორისას. დელკასე რამდენჯერმე ითათბირებს გრაფთან.

იოკოგამა. რუსის ელჩი თათბირობდა კომურთან. საქმის მდგომარეობა თითქო შეუცვლელად არის, მაგრამ ცოტა უკეთობა ეტყობა. ის აზრი, რომ მოლაპარაკება რუსეთსა და იაპონიას შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებას მიაღწევს, თანდათან ძლიერდება.

სოფია. მაკედონიაში ჰგონიათ, ახალი რეფორმები გულწრფელობით არ იქნება შემოღებულიო. ირწმუნებიან, რომ რევოლიუციონერთ მოძრაობა არ შეჩერდება ზამთარშიაცაო. ცონჩევი და იანკოვი იტყობინებიან, რომ მათი ჯგუფთები თავის საქმეს ადგიან. სარაფოვი ბიტოლიის ოლქიდან წასულა.

პარიჟი. გრაფი ლამზდორფი მოვიდა.

ლონდონი. ნიუ-იორკიდან გაზეთები იტყობინებიან, ციხიდან განთავისუფლებულმა ავაზაკმა ტოსკანომ 14 ოკდომბერს ქალაქ მექსიკოში ხუთჯერ ესროლა პრეზიდენტ დიასს, მაგრამ ტყვია ვერ მოარტყა.

ვორონეჟი. ზემლიანსკის ერობამ გადასწყვიტა თავისს ხარჯზე სოფლის სასწავლებლები დააარსოს.

ზარაისკი. ერობამ პრინციპიალურად გადასწყვიტა საკითხი, რომ სავალდებულო იყოს გლეხთა ხორბლის დაზღვევა.

ვარშავა. მოვიდა ყოფილი გენერალ-ადიუტანტი ჩერტკოვი.

16 ოკდომბერი.

პარიჟი. გრაფ ლამზდორფისა და პრეზიდენტ ლუბეს მიერ ერთმანერთის ნახვამ 50 წუთი გასტანა. რუსეთის მინისტრმა დასტოვა ელისეს სასახლე დელკასესთან ერთად. ლუბეს ხვალ შინაურული სადილი ექნება გრაფის პატივსაცემლად.

ასხაბადი. განაღდებისა და სესხის გაცემის ბანკი სპარსეთში ჰმართავს აგენტურას სეისტანში იმ საქონლის კომისიით გასასყიდად, რომელიც მიტანილ იქმნა იქ ორის ქარავანის მიერ. ეს აგენტურა იმართება აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლად.

კიევი. ვაგონის აფეთქება სადგურ ჟმერინკაზე თოფის წამლისაგან წარმოსდგა. პასაჟირები ამბობენ, რომ ვაგონში იყო ერთი ტომარა თოფის წამლით. ანთებული სანთელი ჩამოვარდა და წამალმა იფეთქა. აფეთქებამ ვაგონს სახურავი აჰხადა, ფანჯრები ამოამტვრია. 12 ძრიელ გარუჯულში ორი გარდაიცვალა. მახლობელს ვაგონში იპოვეს პატარა პარკი, რომელშიაც ერთ ფუთამდე თოფის წამალი იყო. ჰგონებენ, რომ წამალი კონტრაბანდით მიჰქონდათ. უმეტესობა დაშავებულთა ებრაელობა იყო.

ბერლინი. როგორც სარწმუნოდ ამბობენ, ამ სესიაში რეიხსტაგს არავითარს სამხედრო კანონ-პროექტს არ წარუდგენენ. კანონ პროექტს წარუდგენენ მხოლოდ მერმისათ.

პარიჟი. საფრანგეთის პრესსა დიდის თანაგრძნობით ლაპარაკობს გრაფ ლამზდორფის ვიზიტის გამო. ეს ვიზიტი ახალი საბუთია იმისა, რომ გულითადი ურთიერთობა სუფევს ორ მეგობარ მოკავშირე ქვეყნის მთავრობათა შორისაო.

მუკდენი. რუსეთის მიერ სიმაგრეთა აგებას იალუში იაპონია ისე ჰხსნის, რომ ეგ სიმაგრენი უნდათ რუსებს, რათა დაიცვან ხუნზუხთაგან რუსთა სოფლებიო. ხმები იაპონიის ჯარების შესახებ კორეაში არა მართლდება. რუსთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები იაპონიაში შემცირდა, იმიტომ რომ ჩინეთის მთავრობა უძლურებას იჩენს და არ ასრულებს დაპირებას. რუსეთის ჯარი შევიდა მუკდენში და დარაჯობა დაიწყო.

პარიჟი. დელკასესთან თათბირის შემდეგ ლამზდორფი გაემართა ელისეს სასახლეში და გადასცა პრეზიდენტს ხელმწიფე იმპერატორის საკუთარის ხელით დაწერილი წერილი.

პეტერბურგი. სტატს-სეკრეტარს ბეზობრაზოვს ებრძანა იყოს შორეულ აღმოსავლეთის ცალკე კომიტეტის წევრად.

პეტერბურგის ბირჟა 4 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	$37,32^1/_2$
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,60
ბირჟის დისკონტი.	$5—6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$992^1/_2$
4% სახ. სესხი 1902 წ.	$90^3/_4$
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ მომგ. ბილ. 1864 წ.	443 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	332 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$282^3/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
$4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$91^1/_4$ გაყ.
% ქუთ. სა მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9625 გაყ.
აქციები. „ „ „	472
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	3850 გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა დაამხ.	$193^1/_2$ წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

გამოსადეგი ცნობები.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ილგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლოზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან, უვადოში—3 მან.

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^1/_2$-დგან 2-მდე და ს. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 „	8 კ.
3 „	6 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 „ (ბარძაყი)	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

[illegible]-ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	$3^1/_2$ კ.
3 „	3 კ.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

განცხადებანი

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული სამოკვლევო კაბინეტით. გადამდები გრიპითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ექიმი

ბესარიონ პაპოვი

სწამლობს განსაკუთრებით ყელ ყურისა და ცხვირის ავადმყოფობას. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა ორშაბათისა და შაბათისა საღამოს 5—7 საათზედ. სხვა დროს მიღება შესაძლოა წინადვე შეთანხმებით. კუკია, რეუტოვის ქუჩა № 26, ავჭალის ქუჩის კუთხეში

(10—7)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.

ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—4)

სააფთიაქო საქონლის მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევი სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჭუჭყის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი საპირფარეშო სამკაული თმის და თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთეები სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და სხვა. ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

საწყობი ქაღალდის

მოსკოვი 1882 წ.

დიტიატკოვსკის ამხანაგობა

ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში.

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

საკანცელარიო, საწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათ. საქონელი **ფაბრიკის ფასად**.

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის სკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66.

(30—6.—30)

მსწრაფლ მბეჭდავი

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხების სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყოველნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომი.

Дозв. цензурою, Тифлисъ, 16 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. [illegible], გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი.